

შპს „დიდოსტატი“ (ს/ნ 200004805)
ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე. ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასახავს შპს „დიდოსტატი“ ფინანსურ მდგომარეობას, წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

1. მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
2. ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც, უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
3. ფუნქციონირებადობის დაშვების პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.
4. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
5. *ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
6. ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს მის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
7. სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ფასს სტანდარტების შესაბამისად;
8. კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
9. თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს

შპს „დიდოსტატი“
დირექტორი: / კახაბერ ცნობილაძე/
2025 წ. 29 სექტემბერს
თბილისი, საქართველო

კ. ცნობილაძე



ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2024 წელი

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	37351	1321	26732
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	545232	632444	467022
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	31350	31693	69429
მარაგები	69077	95243	71847
სხვა	69077	95243	71847
სხვა მოკლევადიანი აქტივები	93344	89833	79185
ძირითადი საშუალებები	2094326	2851079	3366034
სულ აქტივები	2870680	3701613	4080249

ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	14390	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	62329	129663	62607
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	20	20	20
გამოუმუშავებელი შემოსავალი	815091	783641	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	1255985	1559864
სხვა ვალდებულებები	30736	37227	878534
სულ ვალდებულებები	922566	2206536	2501025

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში კაპიტალი , კოოპერატივის შემთხვევაში საპაიო კაპიტალი)	1179742	36121	45372
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	768372	1458956	1533852
სულ საკუთარი კაპიტალი	1948114	1495077	1579224
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2870680	3701613	4080249
სულ მოკლევადიანი აქტივები	776354	3701613	4080249
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	922566	2206536	2501025

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

კახაბერ ცნობილაძე

ლალი მაღლაკელიძე

ა. ცნობილაძე
 ლ. მაღლაკელიძე



სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წელი

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	1621655	2094480
საქონლის გაყიდვიდან	38595	60593
მომსახურების გაწევიდან	1583060	2033887
გაყიდვების თვითღირებულება	-15093	-65746
საერთო მოგება	1606562	2028734
დასაქმებულთა ანაზღაურება	-204987	-205020
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-801780	-1117698
საპროცენტო ხარჯი	-107219	-96789
იჯარის ხარჯი	-43250	-53500
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1134409	-950835
სულ საოპერაციო ხარჯები	-2291645	-2423842
საოპერაციო მოგება	-685083	-395108

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-5500	310961
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-690583	-84147
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-690583	-84147

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-690583	-84147
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1495077	1579224
კაპიტალის სხვა ცვლილებები	1143620	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1948114	1495077

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

კახაბერ ცნობილაძე

ლალი მაღლაკელიძე

ა. ქიქოძე
 მ. მთელი



ფულის მოძრაობის უწყისი 2024 წელი

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2036593	2287532
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	5553114	1196255
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-7553677	-3509198
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	36030	-25411
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1321	26732
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	37351	1321

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

კახაბერ ცნობილაძე

ლალი მალლაკელიძე

ა. ცნობილაძე
ლ. მალლაკელიძე



ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა - განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „დიდოსტატი“ დაფუძნებულია „საქართველოს კანონის მეწარმეთა შესახებ“ მიხედვით და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში 1995 წლის 12 დეკემბერს, საიდენტიფიკაციო ნომრით: 200004805;

მისამართი: თბილისი გიორგი დანელიას 27.

შპს“ დიდოსტატის“-ის დამფუძნებელი და 100% -იანი წილის მფლობელია კახაბერ ცნობილაძე, პ/ნ 01022002686 .

შპს-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბურღვით ნატენი ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები (43120)

შპს „დიდოსტატი“ არის მესამე კატეგორიის საწარმო.

2. შედგენის საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფაასს) შესაბამისად.

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (ფუნქციონალურ და გამოსახვის ვალუტაში) დამრგვალებული უახლოეს ათასამდე (000).

2.2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, ანუ იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში, შესაბამისად მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.



ხ. ცნობილაძე
დ. გოგიშვილი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ტრანსაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) კონვერტირებულია ტრანსაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

2.4. მარაგები

საინვენტარო მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. საინვენტარო მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენაზე.

სასაქონლო-მატერიალურ მარაგებზე შედგენილია დეფექტური აქტები - შესაბამისი უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, სადაც ნათლად არის შესაძლებელი იდენტიფიცირება სასაქონლო მარაგების გამოყენების საჭიროება.

2.5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივების გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პროპორციულად უნდა გადაიხედოს.

ძირითადი საშუალებები, მათ შორის, მფლობელის მიერ დაკავებული ქონება, ფასდება თვითღირებულებით, ყოველდღიური მომსახურების ღირებულების გარდა, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გამოცვლის ან ძირითადი შემოწმების ხარჯების კაპიტალიზაცია ხდება ამ ხარჯების გაწევისას და, თუ სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი ამ პუნქტთან დაკავშირებით მიემართება



ხ. ჩხომიძე
ლ. ჯიშკა

ორგანიზაციაში და შესაძლებელია პუნქტის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ამორტიზაცია გათვალისწინებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე შემდეგი კლასების აქტივების სასარგებლო გამოყენების პერიოდისთვის:

- ❖ სატრანსპორტო საშუალებები 5 წელი.
- ❖ ავეჯი 5 წელი.
- ❖ ინვენტარი 3 დან 5 წლამდე.
- ❖ ტექნიკა 15 წელი.

ამ აქტივების ნარჩენი ღირებულებების, სასარგებლო გამოყენების ვადების და ამორტიზაციის მეთოდების განხილვა და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო შესწორება ხდება ყოველი ფინანსური წლისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, ხდება პერსპექტიული შესწორება.

გაუფასურების განხილვა სრულდება, როდესაც არსებობს მაჩვენებლები, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ აღდგეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგების ანგარიშგებაში, ხარჯის სახით.

ძირითადი საშუალებების პუნქტის აღიარების შეწყვეტა ხდება განკარგვის შემდეგ ან როდესაც არაა მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებელი მისი გამოყენებისა ან განკარგვიდან. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აქტივის აღიარების შეწყვეტისას (გამოითვლება როგორც სხვაობა განკარგვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის ანგარიშგებაში აქტივის აღიარების შეწყვეტის წელს.

ღირებულებების, სასარგებლო გამოყენების ვადების და მეთოდების განხილვა და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო შესწორება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

საბალანსო ღირებულება 31.12.2023	შემოსვლა	გასვლა	პერიოდის ცვეთა	საბალანსო ღირებულება 31.12.2024
2851079	48751	3724	801780	2094326

- ძირითადი საშუალებები მოცემულია ცვეთის თანხის გამოქვითვით:

მანქანა დანადგარები და ინსტრუმენტები	2049654
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვ	10063
სატრანსპორტო საშუალებები	34609



5.18.2024
 ა. მ. მ. მ.

2.6. ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმოო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს და ვალდებულებას აღიარებს ყოველდღიური აღრიცხვის საფუძველზე. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ. ყველა შემოსავალი და ხარჯი დაკავშირებული ფინანსურ აქტივებთან აღიარებულია ფინანსური საქმიანობის ანგარიშგებაში შესაბამის ფუნქტად - „ფინანსური ხარჯი“ ან „ფინანსური შემოსავალი“.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში ისინი წარდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე, ფულს ხელზე და ფულს გზაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სხვა ვალდებულებებს.

მიღებული ავანსები

სავაჭრო ვალდებულებები ეს წარმოადგენს კლიენტებისგან მიღებულ წინასწარ გადახდილ თანხებს, რომლებიც მომავალში შესრულებული სამუშაოების შესრულებისას გახდება შემოსავალი.

გამოუმუშავებელი შემოსავალი

	2024	2023
მიღებული ავანსები	815091	783641
სულ	815091	783641



ა. ცნოვიძე
დ. გოგიშვილი

2.7. კაპიტალი

აკუმულირებული მოგება-ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

ყველა ტრანსაქცია რომელიც დაკავშირებულია კომპანიასთან, აღირიცხება კაპიტალის ცალკე მუხლში.

კაპიტალის სხვა ცვლილებებში ასახულია დამფუძნებლის მიერ შპს-ს ანგარიშზეშემოტანილი ფულადი სახსრები, რომლითაც დაიფარა ბანკის ყველა სასესო ვალდებულება.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებები

	2024	2023
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	-690583	-84147
საწყისი მოგება/ზარალი	-690583	-84147
კაპიტალის სხვა ცვლილებები	1143620	0
საბოლოო მოგება/ზარალი	1948114	149577
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1948114	1495077

2.8. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი არის ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გადაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების ყველა შესაძლო შესწორებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილება. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთით განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების გადასახადის განაწილება და დარცხა კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად თუ განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება ან/და ისეთი ტრანსაქციები



ს. ნიკოლოზიძე

მ. გოთ

არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან. ამ შემთხვევაში მოგების გადასახადი იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები აქტივებს და ვალდებულებებში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

2.9. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლი აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ❖ საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- ❖ საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- ❖ შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- ❖ მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- ❖ შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ❖ შემოსავლი თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- ❖ მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- ❖ შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- ❖ შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.



ს. ნიჭიშვილი
მ. გოთი

3. მარაგები

მარაგები

	2024	2023	2022
სასაქონლო მარაგები	69077	95243	71847
სულ	69077	95243	71847

ყველა სასაქონლო მატერიალური მარაგი შეფასებულია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყველა თანხა არის მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად.

სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის ვადა ხელშეკრულებით არის დადგენილი. არ ერიცხება პროცენტი.

კომპანიას არ მიაჩნია მოთხოვნებზე რეზერვების შექმნის საჭიროება, რადგან არ დამდგარა დებიტორების გაუფასურების შედეგი.

სავაჭრო მოთხოვნები

	2024	2023	2022
მოთხოვნები რეალიზაციიდან	545232	632444	467022
სულ	545232	632444	467022

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები

	2024	2023	2022
ნაღდი ფული სალაროში	1	428	17179
ფული საბანკო ანგარიშებზე	37350	893	9553
სულ	37351	1321	26732



ა. მთიშვილი
 წ. გოჭ

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების დაფარვის ვადა დაახლოებით 30 დღიანია. არ ერიცხება პროცენტი.

სავაჭრო ვალდებულებები	2024	2023	2022
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	62329	129663	62607
სულ	62329	129663	62607

მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

მენეჯმენტმა შეაფასა კომპანიის ფინანსური და ოპერაციული მდგომარეობა და მიიჩნევს, რომ „ფუნქციონირებადი საწარმოს“ პრინციპის გამოყენება სრულად დასაბუთებულია, რადგან კომპანია გეგმავს საქმიანობის გაგრძელებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია შპს „დიდოსტატი“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე. ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ასახავს კომპანიის აქტივებს, ვალდებულებებს, კაპიტალს, შემოსავალს და ფულადი ნაკადების მოძრაობას.

დირექტორი

კახაბერ ცნობილაძე

მთავარი ბუღალტერი

ლალი მაღლაკელიძე

